პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 51 (1221) | სამშაბათი, 29 აპრილი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

„ვაჟკაცობა: ცაცხვს"

სვიტოზე

საერთაშორისო მატჩი ამერიკისა და საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

სურათებზე: ამერიკელ კალათბურთელთა ჯგუფები თბილისის აეროპორტზე. ფოტო მ. ზარგარიანისა

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

პოლონეთი

უკანასკნელ წლებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა პოლონეთში ნელი ტემპით ვითარდებოდა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ადგილებზე შეიქმნა ფიზკულტურის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის ამოცანას შეადგენს არა რეკორდებისა და მაღალი მაჩვენებლებისათვის ბრძოლა, არამედ, რაც შეიძლება მეტი მასების მოზიდვა ფიზკულტურასა და სპორტში.

ახლა პოლონეთის თითქმის ყველა სოფელში, დაბასა და ქალაქში შექმნილია ტკცფ-ს ადგილობრივი გაერთიანებები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მოსახლეობის ჩაბმას ფიზკულტურაში, რეგულარულად აწყობენ ერთდღიან ტურისტულ ლაშქრობებს, შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ბულგარეთი

ფიზკულტურისა და სპორტის ბულგარეთის კავშირმა დაამუშავა სპორტნაგებობათა მშენებლობის ხუთწლიანი პროგრამა, რომლის მიხედვით 1963 წელს მწყობრში ჩადგება 785 ახალი სტადიონი, 475 სპორტული მოედანი, 72 აუზი და სხვ. აღსანიშნავია, რომ 1944 წლის 9 სექტემბრამდე ბულგარეთში არ იყო არც ერთი დიდი სპორტული ნაგებობა. ამ ქვეყანაში დემოკრატიული ძალების გამარჯვების შემდეგ კი აშენდა 106 სტადიონი, 2.796 ფუტბურთის მოედანი, 6.000-ზე მეტი სპორტმოედანი.

ჩეხოსლოვაკია

3-დან 14 აგვისტომდე ბრატისლავაში გაიმართება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი სპარაშუტო სპორტში. ამ შეჯიბრებისათვის ენერგიულად ემზადებიან ჩეხოსლოვაკელები. ქვეყნის ნაკრებში შევა რესპუბლიკურ ჩემპიონატში გამარჯვებული 5 კაცი და 3 ქალი. ერთ-ერთი მორიგი ვარჯიშის დროს მსოფლიო აბსოლუტურ ჩემპიონს გ. კოუბეკს შეემთხვა სპარაშუტო სპორტის ისტორიაში უცნაური ამბავი. მაშინ, როცა იგი თავის 851-ე ნახტომის შესასრულებლად თვითმფრინავის ფრთაზე იდგა, მანქანა მოულოდნელად ჩავარდა „ჰაერის ორმოში". სპორტსმენმა თვითმფრინავის კორპუსს თავი მიახალა, გრძნობა დაკარგა და გადმოვარდა. სპორტსმენი იხსნა ავტომატურად გახსნილმა პარაშუტმა, მიწამდე 100 მეტრზე კოუბეკი გონზე მოვიდა და მშვიდობიანად დაეშვა.

რუმინეთი

როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამ დღეებში გაიმართა რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის გაერთიანებული თათბირი, რომელმაც მოისმინა ფედერაციის თავმჯდომარის პ. მენსკუს მოხსენება რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება ზოგიერთი გუნდის სახელწოდების შეცვლის შესახებ და დაამტკიცა რუმინეთის უძლიერესი კოლექტივების საერთაშორისო შეხვედრების კალენდარი.

ჩინეთი

ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის ჩინეთის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ჩან ლიანხუამ იაპონელ კორესპონდენტებს პეკინში განუცხადა, რომ აზიის ქვეყნების თამაშებში, რომელიც მაისში ტოკიოში გაიმართება, ჩინელი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტაივანის სპორტსმენები შეველენ ჩინეთის გუნდის შემადგენლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთის პროვინცია ტაივანი აზიის ქვეყნების თამაშებზე წარმოდგენილი იქნება, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი არამეგობრულ დამოკიდებულებას ნიშნავს, უარს ამბობენ მასში მონაწილეობაზე.

ცვლილებები შეჯიბრებათა წესებში

ჩოგბურთის მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმმა შეიტანა ზოგიერთი ცვლილება ჩოგბურთის შეჯიბრებათა წესებში.

ადდგენილ იქნა წესი, რომლის ძალითაც მთავარ მსაჯს უფლება აქვს შეცვალოს კოშკურაზე მყოფი მსაჯის გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელმა არასწორად გამოიყენა წესი, თანაც ეს გაუქმება უნდა მოხდეს მხოლოდ შემდგომი ქულის გათამაშების დაწყებამდე. კოშკურაზე მყოფი მსაჯის ან გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ბურთის მიწაზე შეხებას ადგილს, გაუქმებას არ ექვემდებარება.

არ შეიძლება თამაშის შეწყვეტა მოთამაშის ფიზიკური მდგომარეობის გაუარესების გამო (ცრუნჩხვა, თავბრუსხვა და ა. შ.). შეწყვეტა 10 წუთამდე დასაშვებია მხოლოდ თამაშის დროს მომხდარი უბედური შემთხვევის გამო (დაცემა, ტრავმა და სხვ.).

თუ შეხვედრა რაიმე მიზეზის გამო გადატანილ იქნა მეორე დღისათვის, გადათამაშებისას დასვენება შეიძლება მხოლოდ მესამე პარტიის შემდეგ თუ შეხვედრა შედგება 5 პარტიისაგან ან მეორე პარტიის შემდეგ თუ შეხვედრა შედგება 3 პარტიისაგან, წინადღით დაუმთავრებელი პარტია დამთავრება განიხილება როგორც მთელი პარტია.

თუ კოშკურაზე მყოფმა მსაჯმა, ან გვერდითმა მსაჯმა უცაბედად გამოიძახა „არა" ან „გარეთ", მაშინ, როცა ეს ძახილი არ შეესაბამებოდა სათამაშო სიტუაციას და კოშკურაზე მყოფი მსაჯის აზრით ხელი შეუშალა რომელიმე მოთამაშეს, ქულა უნდა გადათამაშებულ იქნას, აგრეთვე უნდა გადათამაშდეს ქულა, თუ გათამაშების დროს ბურთი უვარგის მდგომარეობაში მოვიდა.

თუ ბურთის მომწოდებელი ოთამაშე ერთდროულად აგდებს ორ ან სამ ბურთს, მოწოდება უნდა გადათამაშდეს.

ცალკეულთა თამაშში თუ ბურთი მოხვდა ბადის ზემო ნაწილს საბჯენსა და ბოძს შორის ან თვით ბოძს, იგი წაგებულად ჩაითვლება.

თუ მოწოდებისას ბადეს შეხებული ბურთი მიწაზე დაცემამდე მოხვდება მიმღებს ან მის პარტნიორს, ივი უნდა გადათამაშდეს.

თუ მოთამაშე გათამაშების დროს ჩაიდენს რაიმე საქციელს, განზრახ თუ უნებლიედ, რომელმაც კოშკურაზე მყოფი მსაჯის აზრით ხელი შეუშალა მოწინააღმდეგეს დარტყმის შესრულებაში, კოშკურაზე მყოფმა მსაჯმა პირველ შემთხვევაში უნდა ჩათვალოს ქულა მოწინააღმდეგის სასარგებლოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში — გადაათამაშოს ქულა.

დაზუსტდა, რომ უშუალოდ მოწოდების წინ მომწოდებელი ორივე ფეხით უნდა იდგეს უკანა ხაზს გარეთ. თუ მიმღებმა გააცვთა მოწოდებული ბურთის მოგერიების ცდა, ითვლება, რომ იგი მზად იყო მოწოდების მიღებისათვის იმ შემთხვევაშიც კი თუ მან იმავე დროს განაცხადა რომ არ არის მზად.

აღნიშნული ცვლილებები დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ძიერ.

ჩოგბურთი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო სროლის საკავშირო სექციის პრეზიდიუმისა და სასრული სპორტის განყოფილების წინადადება შეჯიბრების წესებში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ. ეს ცვლილებანი უკვე შევიდა ძალაში.

დაწესდა იარაღის ახალი კლასიფიკაცია სამ კლასად: 1. არმიულ-სასამსახურო; 2. ნებისმიერი — მცირეკალიბრიანი და მსხვილკალიბრიანი; 3. სპორტული — მცირეკალიბრიანი. კლასიფიკაციის შესაბამისად გათვალისწინებულია იარაღის წონისა და სიდიდის ზოგიერთი შეზღუდვა. ასე მაგალითად, ნებისმიერ შაშხანებს წონა უნდა ჰქონდეთ არა უმეტეს 8 კგ (უწინ 9). „მორბენალ ირემზე" სროლისათვის იარაღის წონა არ უნდა აღემატებოდეს 4,5 კილოგრამს. პისტოლეტები თავიანთი მოწყობილობით უნდა ეტეოდეს ფუტლიარში, რომლის ზომა განზომილება არ უნდა აღემატებოდეს 300×150×50 მმ.

ძირითადი ცვლილებანი ეხება გაწყობას „სროლაში ვარჯიშთა შესრულების პირობები და წესი". სამრძოლო ნებისმიერ სტანდარტში „3×40", მდგომარეობათა მიხედვით ვარჯიშების შეუალებით შესრულებისას გაიზარდა დრო სროლისათვის ჩოქება და წოლება მდგომარეობაში და შემცირდა დრო დგომაზე სროლისათვის. გაიზარდა საერთო დრო საცდელი და ჩათვლითი სროლისათვის — 20 წუთი ყოველ დისტანციაზე სროლაში 50 და 100 მეტრზე (30+30 გასროლა) მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლება მდგომარეობაში. მცირეკალიბრიანი „სტანდარტი" (3×40) ახლა შეიძლება შესრულდეს მდგომარეობათა ნებისმიერი ბით მსროლელის სურვილისამებრ (წოლება, ჩოქება, დგომაში). გაიზარდა დრო საერთო და ჩათვლით გასროლებზე 30 წუთით.

სროლა

დაწესდა უფრო მკაცრი მოთხოვნები და პირობები „მორბენალ ირემზე" და სილუეტებზე სროლაში. ცალკეული და ორმაგი გასროლები ირემზე უნდა მოხდეს ერთი შაშხანიდან. თუ უწინ სხვის სამიზნეზე შეცდომითი სროლისათვის იწერებოდა აცდენა, ახლა იგივე შეცდომა ისჯება 2 ქულით.

არსებითად შეიცვალა დაკავებული ადგილების განსაზღვრა ქულათა თანაფარდობისას სროლაში. სამიზნეზე მრგვალი წრით და „სტანდარტულ" სროლაში შაშხანიდან. უპირატესობა მიეცემა იმ მსროლელს, რომელმაც დააგროვა ქულათა მეტი რაოდენობა წოლება მდგომარეობაში, შემდეგ ჩოქება მდგომარეობაში.

სულ შეჯიბრების წესებში შეცვლილია 26 პუნქტი.

ა. კუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი

ლაკადობიადების ფურცელი

საუგარი სპორტის დამსახურებულ ოსტატთა ინფორმაციული ორგანო

რესპუბლიკის სპორტული სახელისათვის

ფოთში ერთთვიან საწვრთნო-სავარჯიშო შეკრებას გადაედა სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ნიჩბოსნობაში. მომდინარე წელს ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდება სეზონის ერთ-ერთი საინტერესო შეჯიბრება—მსოფლიო პირველობა ნიჩბოსნობაში, რომლისთვისაც მზადებას მიეძღვნა ეს შეკრება.

სსრ კავშირის სახელმწიფო მწვრთნელმა ნიჩბოსნობაში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. როგაჩოვმა ნაკრების მზადებასთან დაკავშირებით განაცხადა:

1952 წელს ქ. ფოთში დაიწყო საბჭოთა ნიჩბოსნების მზადება XV ოლიმპიური თამაშებისათვის. მას შემდეგ ფოთი იქცა საბჭოთა კავშირის უძლიერეს ნიჩბოსანთა მომზადების ტრადიციულ ადგილად, ძირითად ბაზად. ჩვენი ნიჩბოსნები ამ ქალაქში ემზადებოდნენ XVI ოლიმპიური თამაშებისათვის, და უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს.

მომდინარე წელს ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის წინაშე განსაკუთრებით სერიოზული ამოცანაა. ამჟამად ფოთში საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრებაზე არიან უძლიერესი ნიჩბოსნები, სსრ კავშირის, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები: ე. დემენტიევა, მ. კალისტე, ა. დემიტკოვი, ი. პისარევი, ე. იაციმენკო, ძმები ა. და მ. რუძეისკასები, ვ. ზვიოზდკინი, გ. ბუხარინი, ა. სილაევი, ვ. სტეპანოვი და სხვ.

ფოთში შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია მთელი წლის განმავლობაში სისტემატური საწვრთნელი მუშაობისათვის. თბილმა ამინდებმა, კარგმა სანიჩბოსნო დისტანციამ და, რაც მთავარია, ფოთის პარტიული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების ხელის შეწყობამ უზრუნველყო შეკრების მიზნების სრული განხორციელება. ჩვენმა ნიჩბოსნებმა ნორმალურად და ნაყოფიერად ჩაატარეს საწვრთნელი შეკრება და სერიოზულად მოემზადნენ მომავალი ასპარეზობისათვის.

მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ფოთის სპორტულ ახალგაზრდობაზე. აქ ჩვენთან ერთად წვრთნას გადიოდნენ ქალაქის ნიჩბოსნები, რომელთა შორის ბევრი ნიჭიერი, მზარდი ახალგაზრდაა. ისინი უყურადღებით სწავლობდნენ და ითვისებდნენ ჩვენი ქვეყნის სახელმოვეჭილი ნიჩბოსნების ტექნიკას, ხოლო შეკრების მწვრთნელები დაუზარებლად ეხმარებოდნენ მათ სასარგებლო რჩევა-დარიგებებით. მაგრამ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს რესპუბლიკასა და კერძოდ, ფოთში სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე. აქაური სპორტსმენები მეტად მცირე საწვრთნელი დროით კმაყოფილდებიან და არ იყენებენ ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს. მაღალი კლასის ნიჩბოსნებისათვის რაც შეიძლება მეტი, დაძაბული და დაუზარებელი ვარჯიშია საჭირო. ამ ხელსაყრელ პირობებს ემატება მდ. რიონის კალაპოტის მიმდინარე გაწმენდაც, რის შედეგად ქალაქი წელსვე გახდება სსრ კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო სანიჩბოსნო დისტანციის მფლობელი. აქ მომავალში შესაძლებელი იქნება სსრ კავშირის და საერთაშორისო შეჯიბრებების მოწყობა.

ეჭვი არ არის, რომ ყოველივე ეს და ადგილობრივი სპორტული ახალგაზრდობის მონდომება ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში სანიჩბოსნო სპორტის შემდგომ განვითარებას, მის პოპულარიზაციას და ნიჭიერი, უნარიანი სპორტსმენების აღზრდას, რომელთაც წარმატებით შეეძლებათ დაიცვან რესპუბლიკის სპორტული ღირსება სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე.

მოუთმენლად ველი ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს სსრ კავშირის პირველობაზე, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ცნობილ ნიჩბოსნებთან ერთად საწყისოსნო ბილიკებზე გამოვლენ ქართველი სპორტსმენები. ვესურვებ მათ წარმატებებს.

ა. ლომაია

თბილისი საქალაქო ღონისძიებები

აიმაღლეს თანრიგი

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ფიზკულტურის სახლში ჩატარდა თბილისის 1958 წლის პირადი პირველობა ძალოსნობაში II და III თანრიგის სპორტსმენთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 56 III და II თანრიგოსანი. მჩატე წონის ძალოსანთა შორის სამჭიდის ჯგუფში 237,5 კილოგრამი დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა განთიადელმა გ. მჭედლიძემ. ქვემსუბუქ წონაში გამარჯვებული გამოვიდა სპარტაკელი ლ. ბაბაიანი (255 კგ). მსუბუქ წონაში პირველობა წილად ხვდა ლოკომოტიველ ნ. გულიას (290 კგ), ქვესაშუალო წონაში უძლიერესი აღმოჩნდა დინამოელი მ. რუსეცკი (315 კგ). საშუალოში — რ. ავეტისოვი („განთიადი“), ქვემძიმეში — ო. ართილაყუა („ბურევესტნიკი“), მძიმე წონაში — ა. მაჭარაშვილი („ლოკომოტივი“).

მეორეთანრიგოსანთა შორის წარმატება ხვდა მსუბუქი წონის შ. კაცობაშვილს („კოლხეთი“), რომელმაც შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი. ქვემსუბუქ წონაში პირველობა წილად ხვდა ა. მაისტრენკოს („განთიადი“), ქვესაშუალოში—დ. მუშკუდიანს და საშუალოში—ბ. მოსულიშვილს (ორივე „ბურევესტნიკი“).

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე თანრიგში სამ წონით კატეგორიაში (უმჩატესი, ქვემძიმე, მძიმე) შეჯიბრება არ ჩატარებულა.

შეჯიბრებაში მონაწილე მესამე თანრიგოსანთაგან 10-მა შეასრულა მეორე თანრიგის ნორმატივი, ხოლო 39-მა — მესამე თანრიგისა.

წარმატებით გამოვიდნენ მეორეთანრიგოსნები. 16 მონაწილედან 14-მა შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები, მათ შორის ერთმა—პირველი თანრიგი.

ა. ბარნოვი

მონაწილეთა მცირე რაოდენობით

მრავალრიცხოვანი მაყურებლის ხმაურით „გამოღვიძებულ“ ხუდადოვის ტყეს დროგამოშვებით მოტოცაკლების გუგუნი ჰფარავდა. აქ 27 აპრილს მოეწყო თბილისის პირადგუნდური პირველობა მოტოკროსში. მხოლოდ ერთი რამ იყო უჩვეულო: რამდენადაც ბევრი იყო მაყურებელი, იმდენად ცოტანი ჩანდნენ შეჯიბრების მონაწილენი.

მართლაც, შეჯიბრებაში მონაწილე ექვსი გუნდიდან (აქედან შეჯიბრების დამთავრებამდე ორი მანქანა დაზიანების გამო მოიხსნა „დინამოს“ მეორე გუნდი) სამი დოსაფს ეკუთვნოდა, ერთი „განთიადს“ და ერთიც „დინამოს“. „ბურევესტნიკის“, „სპარტაკისა“ და სხვა საზოგადოებების წევრები რატომღაც არსად ჩანდნენ. სულ, პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც 125, 350 და 750 კუბიკური სანტიმეტრიანი მოტოციკლებით ტარდებოდა, მხოლოდ 30 სპორტსმენი მონაწილეობდა. რომელთაგანაც მარტო ორი გამოვიდა 750 კუბ. სანტიმეტრიან მოტოციკლებით რბოლაში.

მოტოციკლისტებს 60 კილომეტრი შეუალედებით უნდა გაევლათ, კერძოდ, ყოველი 7 წრის გავლა შემდეგ, რაც ტრასის მესამეს შეადგენდა, მონაწილეებს 10-წუთიანი შესვენება ეძლეოდათ (მანქანის ტექნიკური შემოწმება და სხვ.) და შემდეგ კენჭისყრით ხელმეორედ დგებოდნენ სტარტზე.

125 კუბიკური სანტიმეტრიანი მოტოციკლებით რბოლას სტარტიდანვე ათავებში ჩაუდგა დოსაფის I გუნდის წარმომადგენელი ვ. გრიგორიანი, რომელმაც ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა და ტრასის პირველი მონაკვეთი 23 წუთსა და 12 წამში დაფარა. მეორე სტარტზე ვ. გრიგორიანმა დააგვიანა და რიგით მეოთხე გავიდა. ენერგიულმა სპორტსმენმა დაკარგული წამები „ამოქაჩა“ და დისტანცია ისევ პირველმა დაამთავრა — 22,22 წუთი. ბოლო სტარტზეც ჩამორჩენილმა გრიგორიანმა უკვე მეხუთე წრეზე გადაასწრო მეტოქეებს და საერთო ჯამში 69,58 წუთით ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა „განთიადის“ წარმომადგენელი გ. კულუმბეგაშვილი, მესამეზე — ე. პოლოზენკო (დოსაფი).

არ გაუმართლა 350 კუბ. სანტიმეტრიანი მოტოციკლებით მონაწილე სპორტის ოსტატებს კ. ცალქალამანიძესა და თ. ჩხაიძეს. პირველი მათგანი მოტოციკლის დაზიანების გამო თავიდანვე გამოაკლდა შეჯიბრებას, ხოლო თ. ჩხაიძეს, რომელიც გამუდმებით ლიდერთა ჯგუფში იყო, მეორე მონაკვეთის მეოთხე წრეზე მოტოციკლის ჯაჭვი გაუწყდა და ბოლო ადგილი და საჯარიმო ქულები მიიღო.

ამ მოცულობის მოტოციკლებით რბოლაში გაიმარჯვა ო. ხარაძემ (დოსაფი), რომელმაც აჩვენა აბსოლუტურად საუკეთესო დრო — 64,12 წუთი (21,50 + 21,0 + 21,22). მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა თ. შალიბაშვილს („დინამო“), მესამე — ე. გლადკოსკოკს (დოსაფი).

ვინაიდან 750 კუბიკური სანტიმეტრიანი მანქანებით მხოლოდ დოსაფის ორი სპორტსმენი გამოდიოდა, ისინი სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ რბოლაში და პირველ-მეორე ადგილს არავინ შეცილებიათ. მათში გაიმარჯვა ბ. სუხიშვილმა, მეორე იყო მ. შარაფიანი.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო დოსაფის პირველი გუნდი — 56 ქულა, მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ამავე საზოგადოების მომდევნო გუნდი—71 ქ. მესამე ადგილი წილად ხვდა „დინამოს“ პირველ გუნდს — 89 ქულა.

გ. სამხონაძე

ლაკადობიადების ფურცელი

მე 2 გვ. № 51 (1221)

მომავალ პედაგოგთა მზადება

ა. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ემზადებიან „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურ სპარტაკიადისათვის და სტუდენტთა საკავშირო თამაშებისათვის. დიდი ხანია ყველა სტუდენტამდე დაიყვანეს თამაშების დებულება, შედგა ღონისძიებათა გეგმა. უძლიერეს სპორტსმენთა შესარჩევად მომდინარეობს შიდასაინსტიტუტო შეჯიბრებები ჯგუფებსა და ფაკულტეტებს შორის სპორტის იმ სახეობებში, რომლებიც რესპუბლიკური შეჯიბრების პროგრამაშია შეტანილი. უკვე გაიმართა შეხვედრები მაგიდის ჩოგბურთში. გაეთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის მეორეკურსელმა რ. მირაჯიანმა, ქალთა შორის გამარჯვებული გამოვიდა მეორეკურსელი ლ. კალოშინა (ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი).

დამთავრდა ინსტიტუტის პირველობა კალათბურთშიც, სადაც სტუდენტთა გუნდებთან ერთად უძლიერესის სახელისათვის იბრძოდნენ პროფესორ-მასწავლებლების კოლექტივებიც. აქ უველაზე უკეთ მომზადებულები აღმოჩნდნენ საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის გაეთა და ისტორია-ფილოლოგიის ქალთა გუნდები. აღსანიშნავია, რომ პროფესორ-მასწავლებელთა გუნდებმა შეძლეს მეორე ადგილების მოპოვება.

ინსტიტუტის კალათბურთელებმა, რომლებმაც უკანასკნელ წლებში დაკარგეს წამყვანი პოზიციები, თანდათან აღადგინეს კარგი ტრადიციები, ახლა საკმაოდ ძლიერად გამოიყურებიან და მოსალოდნელია, რომ ისინი საპატიო ადგილს დაიკავებენ რესპუბლიკურ თამაშებზე. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ინსტიტუტის ნაკრები დაკომპლექტებულია პირველთანრიგოსნებით, რომელთა შორის ტექნიკური ვამაშითა და კომბინაციური სტილით განსაკუთრებით გამოირჩევიან ა. სილაგაძე, ქ. ჩამიშკიანი და გ. კიაზიმზადე.

დასასრულს უახლოვდება ფრენბურთელთა ჩემპიონატიც, რის შემდეგ მოეწყობა შეჯიბრებება მძლეოსნობაში, ჩოგბურთში, ცურვასა და ჰპორტის სხვა სახეობებში.

უძლიერესი სპორტსმენები მხოლოდ საინსტიტუტო შეჯიბრებებში მონაწილეობით როდი კმაყოფილდებიან, არამედ რეგულარულად, საკმაო დატვირთვით ვარჯიშობენ სექციებში. მოფარიკავეები, ჯოხებსაც ქ. ისკანდერაშვილი ავარჯიშებს, თითქმის ყოველდღე გადიან სპეციალურ წვრთნას ამტანობასა და ტექნიკაზე. განსაკუთრებით კარგ ფორმაში არიან პირველთანრიგოსნები გ. კახეთელიძე და ო. ბუსკაძე. მოფარიკავეებს არ ჩამორჩებიან ჯელოსიპედისტები და ტანმოვარჯიშენი, რომლებიც ვარჯიშობენ ვ. ჯაბაძისა და ს. წერეთლის ხელმძღვანელობით.

— სპარტაკიადის დაწყებამდე არც თუ ისე დიდი დროა, მოახლოვდა საგაზაფხულო სესიებიც, რაც ერთგვარად აძნელებს ჩვენს საჭადიოს მომავალი შეხვედრებისათვის. მიუხედავად ამისა ინსტიტუტის ძალიან კოლექტივი ყველაფერს აკეთებს, რათა არ ჩამოვრჩეთ გორის, ბათუმის, ჭუთაისის, სოხუმის ფიზკულტურულ კოლექტივებს. — გვითხრა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ დ. მაჭავარიანმა.

თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივს სამზადისში საკმაოდ შეუშალა ხელი საკუთარი სპორტული ბაზების სიმცირემაც. მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ ითქვა და დაიწერა ინსტიტუტის სპორტდარბაზის გაპიანურებული მშენებლობის შესახებ, „თბილმთავმშენის“ მეორე საამშენებლო სამმართველო არ ფიქრობს მის დამთავრებას, თუმცა ვადები დიდიხანია გავიდა.

გ. ხანდამიშვილი

ნალჩიკი. წელს მძლეოსნობის სეზონი ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე. საბჭოთა კავშირის უძლიერესი მძლეოსნები პირველ შეჯიბრებათა ჩასატარებლად შეიკრიბნენ ნალჩიკში, სადაც ნაჩვენებ იქნა შესანიშნავი შედეგები. არის სსრ კავშირის ახალი რეკორდები, არის მსოფლიოში საუკეთესო შედეგები მიმდინარე სეზონში.

ახალი საკავშირო რეკორდი გამორბენით სიგრძეზე ხტომაში დაამყარა ლვოველმა მძლეოსანმა ი. ტერ-ოვანესიანმა. მისი შედეგია 7 მეტრი 78 სანტიმეტრი. საკუთარი რეკორდი ხუთჭიდში გაუმჯობესა ვ. კუზნეცოვმა (მოსკოვი) — 3901 ქულა. ეს შედეგი საუკეთესო მიღწევაა მსოფლიოში.

შესანიშნავ შედეგებს მიაღწია ლენინგრადელმა მძლეოსანმა გ. ზიბინამ. მან შუბი ტყორცნა 53,10 მეტრზე. ამ შეჯიბრებაზე სიმაღლეზე ხტომაში პირველი ადგილი შედეგით 170 სანტიმეტრი, დაიკავა ტ. ჩენჩიკმა („ბურევესტნიკი“).

სურათზე: ტ. ჩენჩიკი ხტომის დროს.

ფოტო ლ. დორენსკისა.



„დინამოს“ სტადიონიდან

საქართველოს, აზერბაიჯანისა და ამერიკის ნაკრები გუნდების მატჩი

◆

გუშინ, თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კალათბურთელების პირველი დღის შეხვედრები. სტუმრებს მიხასალმებელი სიტყვით მიმართა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა შეერთებული შტატების მოყვარულთა ატლეტური კავშირის პრეზიდენტმა კ. ჯონსონმა.

მოედანზე პირველად გამოვიდნენ შეერთებული შტატებისა და საქართველოს ქალთა გუნდები. სტუმრებმა თამაში დაიწყეს ასეთი შემადგენლობით: ბ. კ. საიპსი (№ 41), ნ. უაიტი (№ 7), პ. ტეიტი (№ 11), ე. კიტონი (№ 14) და მ. ჰოლკორანი (№ 10). საქართველოს გუნდში იყვნენ: ა. გვახარია, ვ. იურიევა, ლ. ქველიძე, გ. გრიგორიანი, ც. ჯანელიძე.

ანგარიში გახსნა კალათში ზუსტი სროლით იურიევამ, რასაც სულ მალე საპასუხო გასვლით და შემდეგ ორი ქულით უპასუხა ე. კიტონმა. პირველ წუთებზე ერთგვარი უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო. ამერიკელები ბევრს ესროდნენ კალათში, მაგრამ არაზუსტად. ზედ ფარქვეშ, რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენა სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა საიპსმა (1 მ. 91 სმ.). რის გამოც მე-4 წუთზე მწვრთნელმა აიღო წუთსვენება.

თამაში განახლდა, მაგრამ კვლავინდებურად, უფრო აქტიურად მასპინძლები უტევდნენ. საქართველოს კალათბურთელთა უპირატესობა იგრძნობოდა დასასრულებით მეათე წუთამდე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელთა მწვრთნელმა ერთხელ მთლიანად გამოცვალა პირველი ხუთეული.

თანდათან, როგორც ჩანს, სტუმრები შეეჩვიენ მოედანს, უცბო მოწინააღმდეგეებს და უფრო თავისუფლად იწყეს მოქმედება და მე-12 წუთზე წაიყვანეს ერთი ქულით ანგარიში — 11:10. ეს იყო გარდატეხის მომენტი, ხაიდანაც სტუმრებმა მეთოდურად იწყეს ანგარიშის ზრდა. პირველი ნახევრის ბოლოსათვის ამერიკელები წინ იყვნენ 8 ქულით — 22:14.

მეორე ტაიმში უპირატესობა კვლავ სტუმრების მხარეს იყო. თამაშის მეტად მაღალი კლასი და დახვეწილი ტექნიკა გამოავლინეს უაიტმა (№ 7) და ვაშინგტონმა (№ 9), რომლებიც სწრაფად და შეუცდომლად ამთავრებდნენ ტემპში დაწყებულ კომბინაციებს, არაჩვეულებრივად ზუსტად ტყორცნიდნენ ბურთს კალათში. სტუმრებს ჰქონდათ კიდევ ერთი უპირატესობა: გუნდის თორმეტივე წევრი დაახლოვებით თანაბარი ხარისხით ფლობდნენ, ამიტომ ჯგარიმებას მიღებას არ უშინდებოდნენ. მათი გეგმა ცხადზე ცხადი იყო — ხელის ხერხემლად ვდრე ორი ქულა სრულ უპირატესობამდე დახატოვა მოედანზე, რასაც ბოლომდე მიაღწიეს. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, გამარჯვებაზე ჯერს უფრო მეტი საბაბი აქვს.

და მიუხედავად ამისა, ჩვენს კალათბურთელებს ჰქონდათ წარმატების შანსი, უფრო გაბედულად და თავისუფლად რომ ეთამაშათ. ეს პირველ რიგში უნდა ითქვას ძლიერ და აგრესიულ, მაგრამ ახალგაზრდა და გამოუცდელ ქველიძეზე. შეხვედრის დამთავრებას სამი წუთი აკლდა, როდესაც მასპინძლებმა ანგარიშში განსხვავება ხუთ ქულამდე დაიყვანეს, მაგრამ, როგორც იტყვიან „სათამაშო დრო მათ უკვე აღარ დარჩათ“. მატჩი მოიგეს შეერთებული შტატების კალათბურთელებმა — 42:37.

* * *

ქალთა გუნდები შეცვალეს შეერთებული შტატებისა და აზერბაიჯანის ვაჟთა კოლექტივებმა.

შეერთებული შტატების გუნდმა ეს შეხვედრა მოიგო შედარებით იოლად — 95:46 (პირველი ნახევარი — 43:20) და თბილისელ მაყურებელს აჩვენა მაღალი კლასის კალათბურთი.

* * *

სურათზე: ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი მოსკოვში, სპორტის სახახლეში.

ფოტო ლ. დორენსკისა.

რამდენიმე სიტყვა მტკივნეულ საკითხებზე

◆

ვ. ელოშვილი,
სპორტის ოსტატი, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი.

◆

ხვაზე მეტია დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში. უკვე ნათამაშევია 6-7 ტური და საქართველოს საუკეთესო გუნდი — თბილისის „დინამო“ ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფება. რამდენიმე მატჩი წაგებულია დიდი ანგარიშით, და ისიც საკუთარ მინდორზე.

თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე თბილისს „დინამოს“ ჯერ არასოდეს არა ჰქონია ასეთი ცუდი სტარტი, ასეთი ჩავარდნა. ეს ფაქტია.

ფაქტია ისიც, რომ ჩვენი გუნდი წინა წლებში გაცილებით უფრო ძლიერად თამაშობდა, ვიდრე ახლა და „დინამო“ აღარ წარმოადგენს იმ მრისხანე ძალას, როგორიც იგი უწინ იყო. თუ მაშინ გუნდს ყოველთვის ჰყავდა საკმარისი რაოდენობის ისეთი რეზერვი, რომელსაც ყოველ წუთს შეეძლო შეეცვალა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე, ახლა არა თუ რეზერვი, ზოგჯერ მეტად ჭირს შესაფერისი ძალის ძირითად ფეხბურთელთა შერჩევაც კი.

ერთი სიტყვით, ჩვენი გუნდი გაწაფვის პერსპექტივა).

შეწყდა ავრეთვე კარგი მოთამაშეების გამოშვება „ნორჩი დინამოელის“ სკოლიდანაც. სადაც უწინ აღზრდილ იქნა რამდენიმე კარგი ფეხბურთელი. ასეთივე მდგომარეობაა რაიონებშიც.

ჩემის აზრით, ეს იმის ბრალია, რომ ზემოჩამოთვლილ სკოლებში და სხვა გუნდებშიც ზოგ შემთხვევაში მწვრთნელებად მუშაობს ხალხი, რომლებსაც არა აქვთ რა გამოცდილება, რომელიც საჭიროა ბავშვებთან სამუშაოდ. ან რა უნდა გადასცეს მწვრთნელმა ფეხბურთელს, როცა მან ხელრიანად არც იცის სხვადასხვა ელემენტების შესრულება და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ფეხბურთის ტაქტიკაზე. გარდა ამისა, განა ყველა ფეხბურთელი შეიძლება იყოს სრულფასოვანი მწვრთნელი?

მე მრავალი ქვეყნის გუნდების თამაში მინახავს და ახლა არსად არ თამაშობენ ბურთის გაჩერებაზე, მის ტარებაზე, გაუთავებელ დრიბლინგზე. ფეხბურთის თამაშის მოწინავე ტაქტიკა ახლა დაფუძნებულია ბურთის გადაცემაზე, კომბინაციებზე. ჩვენს რესპუბლიკაში კი ძველებურად თამაშობენ ბურთის გაჩერებით, მისი „ღეჭვით“.

არა თუ სპეციალისტებისათვის, მაყურებელთათვისაც კი ცხადი შესაძინევია, რომ თბილისის „დინამოს“ ზოგიერთმა ახალგაზრდა, ნიჭიერმა მოთამაშემ გასულ წელთან შედარებით მოუკლო თამაშს, მათი კლასი წინსვლის ნაცვლად შეჩერდა და, თუ არ ვცდები, გაუარესდა კიდეც. ამის მიზეზი ძნელი ამოსახსნელი არაა. ამ მოთამაშეებს ზედმეტმა და ნაადრევმა ქებამ თავბრუ დაახვია, ისინი გამედიდურდნენ, გაყოყოჩდნენ, ჰგონიათ წვრთნას, საკუთარ თავზე მუშაობას. ყველაფერი ამის შედეგი სპორტში ერთია: სპორტული ფორმის დაკარგვა. სწორედ ასე დაკარგა ზოგიერთმა ახალგაზრდა დინამოელმა სპორტული ფორმა და თუ მომავალშიც ასე განაგრძობენ — ვაი ვედარც დაიბრუნებენ.

ყოველ დამარცხებას, ყოველ წარუმატებლობას მაშინვე უნდა გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი შეეჩვევა დამარცხებას, დაკარგავს რწმენას თავის ძალებში და მერე მდგომარეობის გამოსწორება გაცილებით უფრო ძნელი ხდება. მერე უკვე გვიანია ბოლქვი.

სწორედ ასე უნდა მოქცეს ახლა ჩვენი გუნდი. ჩვენ ახლავე უნდა ვეცადოთ გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები, არ დავუშვათ, რომ თბილისის „დინამო“ დაეშვას დაბლა წლების მანძილზე მოპოვებულ პოზიციებს შენარჩუნება უნდა, ოორეც მათი ხელახლა მოპოვება ძალად გახდება.

ამასთან დაკავშირებით ერთი საყვედური მინდა გამოვთქვა ჩვენი ძველი მოთამაშეების, ფეხბურთის სახელოვანი ვეტერანების მიმართ. ყოველი მათგანის რჩევა-დარიგება და მითითება თბილისის „დინამოს“ მოთამაშეთათვის ძვირფასი და სასარგებლოა, მათ დიდი დახმარებით გაწევა შეუძლიათ ახალგაზრდა მოთამაშეებისათვის როგორც სიტყვიერად, ისე პრაქტიკული ჩვენებით.

მაგრამ მე არ მახსოვს რომელიმე ძველი ფეხბურთელი მოსულიყო დიდის საწვრთნელ ბაზაზე ჩვენი ვარჯიშის დროს და უბრალოდ, ამხანაგურად რაიმე დახმარება გაეწია მოთამაშეებისათვის. ყოველი მათგანი სასურველი სტუმარი იქნებოდა ჩვენთვის, მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში ისინი დინამოელებს არ ეკარებიან. დასანანი კია!

თბილისის „დინამოს“ თამაშის მერყეობაზე გარკვეული როლი ითამაშა მწვრთნელთა ხშირმა ცვლამ. ყოველ მწვრთნელს თავისი განსხვავებული ტაქტიკა და წვრთნის მეთოდები აქვს, თავისებურად აყალიბებს გუნდს. მოთამაშეზე გავლენას ახდენს ის, რომ სხვადასხვა მწვრთნელები სხვადასხვაგვარ თამაშს მოითხოვენ.

ორიოდე სიტყვა ჩვენი გუნდის გულშემატკივრებისა და მაყურებლების შესახებ. რასაკვირველია, მაყურებელს ვერ დააყვედრი გამოხატოს თავისი გულისწყრომა, როცა გუნდი აგებს, მაგრამ როცა თამაშის დროს მოთამაშეს უსტვენენ და უყვირიან, ეს საქმეს კი არ შველის, არამედ აფუჭებს. მაგალითად მეკარე კვაჭაძემ თავისი პირველი გამოსვლისას „ა“ კლასში (ეს კი ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის ძნელი საქმეა) დაუშვა რამდენიმე შეცდომა, რომლებსაც გული მოჰყვა, კვაჭაძეს რომ მხარდაჭერა და გამხნევება ჰქონოდა მაყურებლების მხრიდან, უკეთესად ითამაშებდა, ძალა შეემატებოდა. ამის მაგივრად ტრიბუნებიდან ისმოდა „გაუშვი“, „გადი მინდვრიდან“, რამაც უარყოფითად იმოქმედა ახალგაზრდა მეკარეზე და შედეგმაც მაშინვე იჩინა თავი — გაშვებულ იქნა ახალი გოლი.

შეცდომისათვის წიხლის ჩაკვრა კი არაა საჭირო, არამედ შეშველება, ამხანაგური დახმარება. ეს პირველყოვლისა საქმისათვის საჭიროა.

როგორც ზევით ითქვა, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ამჟამად კრიზისს განიცდის. ასეთი კრიზისი ჰქონდათ ოდესაც მოსკოვის გუნდებს „დინამოს“, „სპარტაკს“, „ტორპედოს“, ცსკა მოს, კიევის „დინამოს“ და სხვებს. იქ ყველაფერი გააკეთეს (რასაკვირველია, მაყურებელთა და გულშემატკივართა აქტიური მხარდაჭერით) მდგომარეობის გამოსწორებისათვის და გამოსწორეს კიდეც. მე მგონია, რომ არც ჩვენი გუნდი შეირცხვენს თავს.

თბილისის „დინამოში“ უმეტესობა ახალგაზრდა ფეხბურთელებია, რომლებსაც მომავალი წინა აქვთ. მათ შეუძლიათ კარგი თამაში და ვფიქრობ, ითამაშებენ კიდეც კარგად.

ამისათვის საჭიროა ყოველმხრივი ხელშეწყობა, მხარდაჭერა და დახმარება ფართო საზოგადოებრიობის მხრივ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აპრილისათვის

ძირითადი შემადგენლობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	7	4	3	0	19:7	11
„ლოკომოტივი“	7	3	4	0	10:4	10
„ტორპედო“	7	3	4	0	18:8	10
„დინამო“ კ.	7	2	5	0	15:9	9
ცსკ მო	6	3	1	2	11.6	7
„დინამო“ მ.	7	3	1	3	12:8	7
„შახტიორი“	7	2	2	3	4:7	6
„კრ. სოვეტოვი“	6	1	3	2	5:7	5
„ზენიტი“	6	1	3	2	4:8	5
„დინამო“ თბ.	6	2	1	3	7:18	5
„მოლდოვა“	6	0	3	3	5:13	3
„ადმირალტ“.	6	0	0	5	6:21	0

⊙ **მოსკოვი. 27 აპრილი.** აქ შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი).

გაიმარჯვეს სპარტაკელებმა—5:1.

⊙ **მოსკოვი. 28 აპრილი.** მოსკოვის „ტორპედომ“ მიიღო ლენინგრადის „ადმირალტეიცი“

მატჩი მოიგო „ტორპედომ“ — 4:1.

ასტრახანი. 25 აპრილი. ქალაქის სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „ტრუდი“ და „ლოკომოტივი“ (ქუთაისი).

თამაში მოიგეს ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1.

გაიხსნა ტურისტული გაჯა

სოხუმის ტურისტულ ბაზაში დიდი გამოცოცხლებაა. ამ დღეებში აქ გაიხსნა ტურისტული სეზონი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდა რამდენიმე ასეული ტურისტი. ბაზა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა სტუმრებს.

წელს სოხუმის ტურისტთა ბაზა მომსახურებას გაუწევს 12.000 კაცს. აქეთ გამოემართებიან ფეხით თებერდიდან — სოხუმის სამხედრო გზით, ქლუხორის უღელტეხილის გადმოვლით, აგრეთვე ყაბარდოდან — სვანეთის მთების გადმოსახვით 27-ე, 28-ე, 43-ე და 46-ე მარშრუტის ტურისტები.

ტურბაზის ტერიტორიაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი კორპუსის მშენებლობა, რომელიც დამატებით ყოველდღიურად მომსახურებას გაუწევს 250 ტურისტს.

ნ. მიქაშავიძე

სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ბალავაძის ნაამბობიდან

ოქროს ბეჭედი





სურათებზე: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის ხედი. ზევით — მ. ცალქალამანიძე თავის მეუღლეს აჩვენებს ქალაქ ტულსის გასაღებს.

მანამდე ჩვენ დათკალერებული გვქონდა „ატლეტური კავშირის“ ნიუ-იორკის სპორტული ბაზებ-, რომლებიც სანიმუშონი არიან კეთილმოწყობის თვალსაზრისით: აქ არის ბევრი და შესანიშნაკი სპორტული დარბაზები, კალათბურთისა და ჩეიზბოლის მოედნები, საწყლოსნო აუზები და ასპარეზი მძლეოსანთათვის. აქვე დავძენ, რომ ამერიკაში განსაკუთრებული პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობენ ბეისბოლის „ვარსკვლავები“. სანიმუშო სპორტული ბაზებია, რომლებზეც კარგად ორგანიზებული სპორტული მუშაობაა გაშლილი. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აქ სტუდენტ-სპორტსმენთა ვარჯიში კვირაში ოთხჯერ ხდება. გამორჩეულს შეადგენენ ფიზიკურად ნაკლებ მომზადებული და სუსტი სპორტსმენები, რომელთათვის ყოველკვირეული დამატებითი ვარჯიშია გათვალისწინებული.

ასე გაირბინეს მრავალგვარი შთაბეჭდილებებით აღსავსე დღეებმა. 9 აპრილს ნიუ-იორკს გამოვეთხოვეთ. მოახლოვდა სპორტული ბრძოლების ჟამი და ჩვენც ოლიმპიას შტატისაკენ ავიღეთ გეზი. სადაც ამერიკის უძლიერეს მოჯიდავეებთან ძალს გამოცდა გველოდა. ისევ თვითმფრინავში ვსხედვართ, რომელმაც შვიდი საათის მგზავრობის შემდეგ ოლიმპიას შტატის ქალაქ ტულსში ჩაგვიყვანა. ისევ საზეიმო და შეგობრული დახვედრა. ქალაქის მერმა სტუმართმოყვარეობისა და სრული პატივისცემის ნიშნად ქალაქის ალაყაფის გასაღები მოართვა ჩვენს დელეგაციას. უნდა ითქვას, რომ ასეთი ორიგინალური საჩუქრები საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებისადმი ამერიკელ მოქალაქეთა გულწრფელი, მეგობრული დამოკიდებულების სიმბოლო იყო. ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიტანეთ ავრეთვე სხვა საჩუქრებიც: ტულსის გასაღები, ოკლაჰომას შტატის დროშა, მშვიდობისა და მეგობრობის ჩიტუხი და ა. შ.

11 აპრილს ისევ გზაში ვართ. ტულსიდან მივემგზავრებით პატარა ქალაქ ნორმანისაკენ, სადაც 4.000 მაყურებლის თანდასწრებით ამერიკელ მოჯიდავეებთან პირველ შეკრებამდე ორიოდე საათიღა დარჩა.

მოახლოვდა გადამწყვეტი ჟამი. ყოველი ჩვენთაგანი მომავალ შეხვედრებზე ფიქრითაა დაკავებული.

• • •

ამერიკელი მოჯიდავეები ყველა ქვეყნის ფალავანთა ღირსეული მეტოქეები არიან. მეც და ჩემი კოლეგებიც სხვადასხვა შეჯიბრებებზე ადრინდელი შეხვედრებიდან ვიცნობთ მათ, უფრო სწორად — ჰიდაობის ამერიკულ სტილს. კონკრეტულად, პერსონალურად კი მხოლოდ მირიანი და ოთარი იცნობენ თავიანთ მეტოქეებს.

ჰიდაობის სტილი, მისი კლასი მეტად თავისებურია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ნაწილობრივ იმ გავლენითაც აიხსნება, რომ ადრე, საერთაშორისო წესებზე გადასვლამდე, აქ გავრცელებული იყო ე. წ. „უნივერსიტეტის სტილის“ ჰიდაობა, რომელიც ეროვნულ სახეობად იყო მიჩნეული. იგი სპეციფიკურ ხასიათს ატარებდა და ისევე, როგორც, დავუშვათ, ჭართული ჰიდაობა, მრავალი თავისებურებით ხასიათდებოდა. ალბათ, ამ სპეციფიკისაგან ისესხა ბევრ რამ თავისუფალი ჰიდაობის ამერიკულმა სტილმა, რომელიც დღეს საერთაშორისოდ აღიარებულ წესებს ექვემდებარება.

ამერიკელ მოჯიდავეები, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურად ძლიერნი, შემტევნი, მეტად აგრესიულნი არიან. მათთვის — განსაკუთრებით დამახასიათებელია მოწინააღმდეგის ფეხებში უეცარი შევარდნა, შორსმდებარე ქეხის ცალი ხელით დაჭერა, ხოლო მეორე ხელით გულმკერდის არეში ძლერი ბიძგი, რომლის მიზანია მეტოქის ბეჭებზე დაცემა ან ჩოქბჯენში გადაყვანა. ჩოქბჯენში ზემოდან ისინი კარგად მუშაობენ მოწინააღმდეგის ხელებზე. ოსტატურად ღებენ „გასაღებს“, დაჟინებით „ნადირობენ“ შორსმდებარე ხელზე, რათა მისი გამოტაცით უეცრად გადმოაბრუნონ მეტოქე ბეჭებზე. აჰასთან, დიდი ფიზიკური ძალა მათ განსაკუთრებით შეუპოვარსა და უტეხს ხდის ორთაბრძოლებში.

რატომაა, რომ ამ თვისებების მიუხედავად ამერიკელი მოჭიდავეები თურქებთან, იაპონელებთან, ბულგარელებთან და სხვებთან შედარებით უფრო ნაკლები წარმატებებით გამოდიან ხოლმე საერთაშორისო ასპარეზზე?

სწორედ ასეთი შეკითხვით ორიოდე დღის წინათაც მივმართე ყოფილ ოლიმპიურ ჩემპიონს — ჯორჯ ვიტენბერგს. მან მიპასუხა:

— ჩვენ სულ მცირე ხანია, რაც საერთაშორისოდ აღიარებულ წესებზე გადავედით და მაშასადამე, ამ საერთაშორისო ჰიდაობის მდიდარი ტექნიკური არსენალის შესწავლაც მცირე ხნის წინათ დავიწყეთ. ამიტომაა ისიც, რომ ჩვენ ამ მიმართებით ჯერჯერობით ნამდვილ, მაღალკვალიფიციური მწვრთნელებიც მეტად ღარიბნი ვართ.

(გაგრძელება იქნება)

წერილი რედაქციას

„კოლმეურნის“ ზესტაფონის რაიონის საბჭოს ძირეულ ორგანიზაციებს შორის ყველაზე ღარიბ-ღატიანია სასოფლო-ხალხური ტრადიციებით, მაგრამ აქ ხასიათდება არ ეძლევა მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობას. არასათანადოდ ზრუნავენ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადებაზე, — გვწერდა ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი მკითხველი.

როგორც საქართველოს ალკ ზესტაფონის რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა ფიზკულტურის კომიტეტთან ერთად განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი. ამჟამად ტექნიკუმში შექმნილია და რეგულარულად მუშაობს ძალოსნობის, მძლეოსნობის, ფრენბურთისა და სხვა სექციები.

რაიონული სპარტაკიადა

სპორტის ექვს სახეობაში მიმდინარეობს ხაშურის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა. უკვე დამთავრდა შეჯიბრება ჭადრაკსა და კალათბურთში. ჭადრაკში I ჯგუფში პირველი გუნდური ადგილი დაიკავეს სურამის მე-2 საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა, II ჯგუფში — ქვიშხეთის სკოლის მოჭადრაკეებმა. კალათბურთში ჭაბუკთა და გოგონათა 16 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს პირველი ადგილისათვის. I ჯგუფში გამარჯვებულნი გამოვიდნენ ხაშურის I-ლი სკოლის გოგონათა და მე-3 სკოლის ჭაბუკთა გუნდები, ხოლო II ჯგუფში — ქვიშხეთის სკოლის გოგონათა და გომის საშუალო სკოლის ჭაბუკთა გუნდები.

ნ. ნოზაძე

შემდეგ მასპინძლებმა მოგვცეს საშუალება დაგვეთვალიერებინა ქალაქი, მისი ღირსშესანიშნაობანი და სპორტული ბაზები. ნიუ-იორკმა, ამ გრანდიოზულმა ქალაქმა დიდი და კონტრასტულობით აღსავსე შთაბეჭდილებები მოახდინა. როგორც ცნობილია, ის შესართავს კუნძულებზეა გაშენებული, ხუთ რაიონადაა დაყოფილი და დიდი ხიდებით შეკავშირებული. საინტერესოა წყალქვეშა გვირაბი-ხიდი, რომლის სიგრძე 4 მილამდე აღწევს. ნიუ-იორკის მაღალ ნაგებობებზე ბატონობს სამი გიგანტი ცათამბჯენი. და აი, ერთ-ერთ მათგანს, სპეციალურად ტურისტთათვის რეკომენდებულს, ჩვენ თავზე მოვექეცით ლიფტის საშუალებით, რომელიც საწინელი სისწრაფით მოძრაობს და 30-40 კაცს იტევს. აქედან ხელისგულივით ჩანს ვრცელად გაშლილი ქალაქი, ზღვა, ნავთსაყუდელი და ქალაქს ერთი მხრიდან გარშემორტყმული უზარმაზარი პარკი. აქ. ზაფხულობით, ნიუ-იორკელები დასასვენებლად მიდიან. დასვენებისა და თავსუფალი დროის გასატარებელი მეორე „პოლუსია“ ნიუ-იორკის დიდი პლაჟი, რომელსაც ძალუძს ერთდროულად 3 მილიონ ადამიანს „მოემსახუროს“. ქალაქის ქუჩები სიმეტრიულადაა განლაგებული. ცენტრალურ ნაწილში სახლები ძირფასი ქვითკირ ნაგებობა. თვალს იტაცებს საღამოსეული ქალაქის ხედი, შუქ-რეკლამების მრავალფეროვანი ცრემლი, კრიალა და კომფორტაბელური მანქანებით გადატვირთული ქუჩები. ტროტუარებზე შესაიარულეთაგან შეხვედრით უხადოდ ჩაცმულებსაც. ამოიცნობთ საშუალო შეძლების მოქალაქეებსაც და შეამჩნევთ სამუშაოს გარეშე დარჩენილ ან თავისი სამსახურით უკმაყოფილო ადამიანებსაც. ერთ-ერთმა მათგანმა სულ ახლოს ჩაგვიარა. ჰაჯ მკერდზე ჩამოკიდებული აბრა გვამცნობდა, რომ ის გაფიცვაში მონაწილეობს. ვესტუმრეთ და გარს შემოვუარეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობას. ბევრს ვმოგზაურობდით „მიწისქვეშა“ ნიუ-იორკში. ვესტუმრეთ კინოსაც. ამ ამერიკულ ფილმში, ჩვეულებისამებრ, ბევრი იყო სროლაც. მკვლელობაც, ფათერაკებიც... დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცირკმა, რომლის შენობა 18 ათასამდე კაცს იტევს. ყურადღება მიიპყრო წმიდა ამერიკულმა საცირკო სომერმა — ქვემეხიდან მსახიობ-ქალთა გასროლამ 50 მეტრის სიმაღლეზე ჩამოკიდულ ბადეზე. ჩვენი ხშირი მეგზურები და ასე ვთქვათ, „ოპერატიული“ მასპინძლები იყვნენ ჯორჯ ვიტენბერგი და „ატლეტური კავშირის“ წარმომადგენელი ვინმე მისტერ პაველუსი. ალბათ, მათი გეგმის მიხედვით, ჩვენ მორიგეობით ვმოგზაურობდით სხვადასხვა ქვეყნის „კულინარიულ სამყაროებში“. ვჭამეთ ესპანურ, ფრანგულ, იაპონურ რესტორნებში. ბოლოს ვრტენბერგი „მოთმინებიდან გამოვიდა“ და კატეგორიულად განაცხადა:

— როდემდის უნდა წაგვართვან საზღვარგარეთელებმა სტუმრები?! ბოლოსდაბოლოს, ამერიკულ რესტორანსაც ხომ უნდა ვეწვიოთ.

ეს მასპინძლური „გულისწყრომა“ იმ დღესვე იქნა დამცხრალი.

ნიუ-იორკში ყოფნის ჟამს ჩვენ ძიგვიწვიეს დიდი სპორტული ჟურნალის რედაქციაში. გაგვაცნეს მისი მუშაობის ზოგიერთი ძხარეები, თანამშრომლები. მისპინძლობდა ჟურნალის რედაქტორი. წარმოგვიდგინეს საბჭოთა სპორტის მღწევათა შესახებ ჟურნალში გაშუქებული თემები, გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენების სურათები, საჩუქრად მოგვცეს ჟურნალის ნომრები. გამოშვიდობებისას რედაქტორმა გამარჯვება გვისურვა. ვუპასუხეთ, რომ შეეცდებოდით მისი სურვილის განხორციელებას.

გაგრძელება იხ. „ლელო“ № 50.

ემზადებიან იაპონელი და უნგრელი მოჭიდავეები

მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჰიდაობაში

24 ივლისს ბუდაპეშტში დაიწყება მსოფლიო პირველობა კლასიკურ ჰიდაობაში. უნგრეთის დედაქალაქში ამ ღონისძიებისათვის სამზადისი დაიწყო ჯერ კიდევ გასულ წელს. მოჭიდავეთა ფედერაცია დიდი ხანია, რაც დაუკავშირდა სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებს და გაიგო მეტად საჭირო საორგანიზაციო სიზუსტეები. როგორც გამოირკვა, ბუდაპეშტის ჩემპიონატი იქნება ყველაზე რიცხვმრავალი და ამიტომ იგი ჩატარდება ისე ორგანიზებულად, როგორც არასდროს.

ჩემპიონატში მოსალოდნელია 16-18 სახელმწიფოს მონაწილეობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველობისათვის სხვადასხვა წონით კატეგორიაში 160-ზე მეტი მოჭიდავე იბრძოლებს. პირველობის მონაწილენი იცხოვრებენ სასტუმრო „ნაძალადევში“, მარგიტის კუნძულზე, რადგან აქვე ახლოა შეჯიბრების ჩატარების ადგილი — დოჟას სახელობის სტადიონი.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ჩემპიონატი ღია ცისქვეშ მოეწყობა, დაისვა საკითხი — ხომ არ შეუშლის ეს გადაწყვეტილება ხელს შეჯიბრების ნორმალურ ჩატარებას? ამასთან დაკავშირებით უნგრეთის სპეციალისტებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი. ისინი ამტკიცებენ, რომ ღია ცის ქვეშ ჰიდაობა უარყოფითად არ მოქმედებს არც სპორტსმენთა ტექნიკურ მაჩვენებლებზე და არც საერთოდ ჩემპიონატის ორგანიზაციაზე, ამასთან, ჰიდაობის მოყვარულთა დიდ ნაწილს საშუალებას მისცემს ნახოს უძლიერესთა გამოსვლები. მაგრამ გამორიცხული არ არის ამინდის ჯიბრევულობა.

როგორც წინასწარი მოლაპარაკებებიდან ირკვევა, თითქმის ყველა ქვეყანას აქვს განზრახული ჩემპიონატში სრული გუნდით გამოსვლა. იაპონელებიც კი დათანხმდნენ ჰიველობაში მონაწილეობაზე. ეს შეჯიბრებას კიდევ მეტ ინტერესს შეძატებს, რადგან იაპონელები ცნობილი არიან როგორც თავისუფალი ჰიდაობის სპეციალისტები. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, რა სიურპრიზს შეთავაზებს ჩემპიონატს იაპონია. საყოველთაოდ აღიარებულია კლასიკურ ჰიდაობაში საბჭოთა სპორტსმენების ჰეგემონია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ პირველობისათვის, როგორც არასდროს, ემზადებიან თურქეთის, შვეიცის, ფინეთის, ბულგარეთისა და, რა თქმა უნდა, უნგრეთის მოჭიდავეები.

მიმდინარე წლის იანვარში ინტენსიური მზადება დაიწყო უნგრეთის ნაკრებმა. მათ შორის არიან როგორც ახალგაზრდები, ისე უკვე საკმაოდ სახელოსვეჭილი, გამოცდილი მოჭიდავეები. როგორც ცნობილია, მსოფლიო პირველობაზე ყოველ ქვეყანას წონით კატეგორიაში თითო მოჭიდავე გამოჰყავს. ამიტომ უნგრელთა შეკრების მონაწილეებს დიდი ბრძოლა მოუხდებათ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად.

ბუდაპეშტში უკანასკნელი ხანების სენსაცია იყო სილვაშის განცხადება, რომელსაც სურს ამჯერად ქვემძიმე წონაში გამოსვლა. უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებზე მელბურნში სილვაში ქვესაშუალო წონაში გამოდიოდა და მესამე წრეში ფინელ რანტანენთან წაგების შემდეგ ფინალში გასვლის შანსი დაკარგა. სილვაში წელს კარგად გრძნობს თავს ქვემძიმე წონაში. ამ წონის კატეგორიაში სილვაშს ჰყავს ახალგაზრდა მეტოქეები კაშაი და ტარი. უნგრეთში დიდ იმედებს ამყარებენ ასევე ქერეკეშზე, ხუდოშზე, პოიაზე. გურიჩზე.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხაშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3 89 62, პ-მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90 31, მორიგისა და გამომშვების, — 3 01 06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02544